მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: ფიქრები და შენიშვნები 1899 წ. დამდეგს —ზნეობის სწავლა.—რად გვეშინია სიკვდილის —კორესპონდენცია ნაჯახოდან.— საახალწლოდ (ლექსი).—ჩემი სიმბოლო (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე: სიტყვა, თქმული ეპისკოპოსის-ს ლეონიდის მიერ, აბიბოს, ნეკრეს ეპისკოპოსის ხსენების დღეს ——ოჯახის კერა. მამაკაცი და დედაკაცი: ცოლები.

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეჭვო კითხვების განმარტება.
რედაქციის პასუხი.— განცხადებანი

რედაქციისაგან.

ჩვეულებრივი, მუდმივ განუწყვეტელი კავშირი ჩვენის ხელის მომწერლებთან, «მწყემსი»-ს დაარსებიდანვე დამყარებული, ვალად გვადებს ჩვენი ჟურნალის პირველი №-რი გაუგზავნოთ ყველას, ვინც წარსულს წელში იწერდა იმის და მიუხედავად დაბარებულია ჟურნალი საამწლოდაც თუ არა. მეტადრე მიტომ, რომ ზოგიერთები სამდურავსაც გვიცხადებდნენ უნდობლობისა და ჟურნალის დაუბარებლად გაუგზავნელობისათვის. შემდეგი №-რი კი აღარ გაეგზავნებათ მათ, ვინც ფულის წარმოგზავნით ან წერილით ჟურნალს არ დაიკვეთს. მსურველთ ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ ფულის შემოტანა.

ფიქრები და შენიშვნები 1899 წ. დამდეგს.

გამოსათხოვარ წერილში წარსული წლის დამდეგს ჩვენ მივიქეცით მკითხველისადმი ამ ახალი წლის დაწყების გამო რამდენიმე სიტყვით და ჩვეულებისამებრ მივულოცეთ წარსულის წლის მშვიდობით დასრულება და მომავლის მშვიდობით მიგებება. კმარა, ვგონებთ, ის, რაც ვსთქვით და მეტი საჭიროც აღარ არის. ჩვენ ვერ მივჰყვებით «ივერიის» მსგავსად წარ-

სულისა და მომავალი წლის წყევასა და შეჩვენებას იმ მიზეზით, რომ არც წარსულ წელში «ეყარა რამე» და არც მომავალში ეყრება რამე სახეირო. ამ გაზეთის აზრით თუ საზოგადოებისათვის რამე კეთილი ხდება ქვეყანაზედ, ეს სულ წელიწადის ბრალია და არა თვით საზოგადოების. საკვირველი აზრების არევ დარევაა! გასაოცარია, დღემდის კიდევ ბევრს ვერ შეუგნია, თუ რისთვის ეძლევა კაცს დრო და ჟამი და როგორ უნდა მოიხმაროს მან იგი!.. მეორე ჟურნალის პუბლიცისტები გამომდგარან და გაიძახიან:

«რა მოგვცა გასულ წელს? რა მოახდინა გასულმა წელმა? რა კითხვები არ წამოაყენა? კითხვა შრომის და გამდიდრების, კითხვა აზრის და მიმართულების, კითხვა მწერლობის და ხელოვნების, კითხვა ომის და მშვიდობიანობის, ენის და ზნე-ჩვეულების—სულ კითხვა, კითხვა და კითხვა...»

„ამ კითხვათა შორის არის ერთი, რომელიც ჩვენ ყველას გვ ფიქრებს და გვაშფოთებს, რომელიც მუდამ თვალ წინ გვიტრიალებს და მოსვენებას არ გვაძლევს. ეს კითხვა ა ვიქნებით ქვეყანაზე და, ან როგორ ვიქნებით? ვიცხოვრებთ და ან როგორ ვიცხოვრებთ? ამის პასუხი, კაი ხანია, მზათ აქვს ჩვენ ეგრეთ წოდებულ, საზოგადოებას, ჩვენი, საქმე წასულია. ქართველთა მერმისი საეჭვოა, საქართველო დღითი-დღე სუსტდება, უძლურდება და იღუპება — გაიძახიან, თუ წერენ ისინი. და ამას ზოგი გლოვობს, ზოგი კი თავის სასარგებლოთ იყენებს. საქართველო იღუპება! მართალია მერე ეს? დიახ, მართალია, ის იღუპება, მარა იცით, რომელი საქართველო? რომელი და საქართველო უკან-ჩამორჩენის, საქართველო ბატონ-ყმობის, უვიცობის—ერთი სიტყვით, იღუპება ძველი საქართველო და განა ეს უნდა ვიგლოვოთ, ეს უნდა დავიცვათ, ეს უნდა გავახანგრძლივოთ? არა, ათასჯერ არა...“

ვეღარც არაფერი ამ პუბლიცისტების გაგვიგია!!. ძველი... მოკვდაო, ამას კი არ უნდა ვწუხდეთ, არამედ უნდა გვიხაროდეს, რადგან ძველი დრო უგნურებისა, სიბნელისა, მტარვალობისა და უცოდინარობისა მოკვდა და ახალი ბედნიერი დრო განათლებისა, სათნოებისა, კაცთ-მოყვარებისა და გამდიდრებისა დადგაო... ყოველი სიტყვა ამ პუბლიცისტებისა ნათლად ამტკიცებს, რომ ეს პირები ძველი დროის და ხალხის ცოდნაში მეტად უვიცნი არიან. თუ რაიმეს ამბობენ, ამას ჩვენი ერისა და ისტორიის დინჯი და დაკვირვებული შესწავლა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ ოცნებით წარმოდგენილი ან განაგონობით შეთვისებული რაიმე უსაფუძვლო ცნობები. თორემ გვიკვირს, ან კი საიდან იმერენ ეს პირები ასე მალე საკმაო და საგულისხმო ცნობებს, რომ ასე დარწმუნებით და მოჭრით გაიძახიან თავის აზრს და საბოლოო დასკვნას ჩვენს წარსულსა და აწმყოზე!.. მით უფრო, როდესაც ჩვენ არავითარი საკმაო და სარწმუნო მასალა არ მოგვეპოვება, სავსებით წარმოვიდგინოთ ჩვენი ცხოვრების სურათი მეტადრე წარსულისა და მიმდინარე საუკუნის შესახებ. არსად არ არის საძნელო და საბრთხილო რაიმე აზრის წარმოთქმა წარსულის შესახებ ისე, როგორც ჩვენში, მაგრამ არსად არ ეადვილებათ ამ საძნელო საქმის უცებურად და აჩქარებით დახასიათება ისე, როგორც ჩვენში. და სამწუხაროა სწორედ ისეთი აჩქარებულობა მეტადრე მაშინ, როდესაც ერთად-ერთ ამ საუკუნის მატიანედ და ჩვენ დამახასიათებლად მხოლოდ ჟურნალ-გაზეთობის მასალა რჩება შემდეგ შთამომავლობას...

დიახ, ჭეშმარიტად სამწუხარო არის ამ ნაირი აზრების არევ-დარევა და საცინად აგდება ძველი დროის, როდესაც ეს დამცინველნი არა თუ ძველს არამედ ახალს დროსაც ვერ იცნობენ საკმაოდ და რიგიანად!..

—

თორმეტი თვე უკლია მეცხრამეტე საუკუნის გასრულებას. ჭეშმარიტად ეველასათვის დასაფიქრებელია ეს ხანა, რომელითაც უნდა დასრულდეს ეს საუკუნე. გაიძახიან, ზნეობა და სარწმუნოება ხალხში ამაღლდაო, მაგრამ მართალია ეს? ამტკიცებენ, ხალხი ეკონომიურად ძლიერ გაუმჯობესდაო, მაგრამ ბანკების დავთრებს თუ შეავლო ადამიანმა თვალი, ან გასეიდულ სათამასუქო ქაღალდებს—სულ სხვას დავინახავთ. ამბობენ, ხალხთა შორის მშვიდობიანობა მყარდება და ომიანობა სრულებით მოისპობაო, მაგრამ თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ აუარებელ მილიონების ხარჯს სხვა-და-სხვა გასაქლეტ იარაღების ხასეიდლათ გადადებულს —მაშინ სულ სხვას ფიქრობ ადამიანი... ამბობენ ხალხთა შორის დამყარდა ქრისტიანული სიყვარულიო, მაგრამ მოყვასად სცნობენ მხოლოდ ნათესავთა და მასლობელთა, დანარჩენს კი მტრულად უყურებენ! იმედი არ არის, რომ ამ თორმეტ თვეში შეასრულოს საზოგადოებამ ყველაფერი ის რაც ვერ შეუსრულებია ოთხმოცდა ცხრამეტი წლის განმავლობაში. და ამისთვის ვერავინ ვერ აიცილებს თავიდან იმ მსჯავრს, რომელსაც უნდა მოველოდეთ ჩვენ შემდეგი საუკუნისაგან. ნეტავი მათ, ვისაც თავის ცხოვრებით კვალი დაუჩენია ამ საუკუნეში, მხოლოდ ესენი უნდა მოელოდენ სანუგეშო სიტყვას შემდეგის საუკუნისაგან.

სწორედ ეველაზედ უმეტესად სასულიერო წოდება არის მოვალე ამ შეთხვევაში რაიმე შესანიშნავი გამოცემით მაინც დააგვირგვინოს დასასრული ამა საუკუნისა. და როგორ უნდა მოიქცეს სამღვდელოება, ამაზედ ჩვენ შემდეგ მოველაპარაკებით მკითხველებს.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ხალხის ზნეობის ამაღლების შესახებ.

ცხოეთის სასწავლებლებში და მეტადრე საფრანგეთისაში ერთ-ერთ სასწავლო საგნად შემოღებულია სხვასთან ერთად ზნეობის სწავლაც. ამ საგანს, „ზნეობა“-ს მოსწავლენი სწავლობენ იქ როგორც სხვა დანარჩენ საგნებსაც: ჯერ მასწავლებლის აღსნას უგდებენ ყურს, მერე გაკვეთილად მონაცემს ინახსოვრებენ და საამისოდ შედგენილ წიგნებით სწავლობენ მიყოლებით თვითეული ზნეობრივ კითხვას: ამნაირად მოსწავლის ნორჩ გონებაში წინდაწინვე ინერგება საუკეთესო მეცნიერთა მოძღვრება, რასაც ახალგაზრდა სხვა მრავალ ცნობებთან ერთად მეხსიერების წყალობით ადვილად ითვისებს. და საშემდეგოდ კი, როდესაც მისი ასაკი ჭკუადამჯდარობას უახლოვდება, ყველაფერი ეს ერთხელვე დანასწავლი, შეგნებულ წინამძღოლობას უწევს მის ხასიათსა და პირადობას. ამ ხანაში მას უკვე გამორკვეული აქვს, თუ რა არის კარგი და ცუდი. რა არის მისასწრაფელი და დასარიდალი; ამას თან ერთვის შემდეგი შესაფერი მუშაობაც და ცხოვრების გამოცდილებაც, და დასასრულ ერთ რიგიან წევრად ემატება საზოგადოებას ამნაირის მასალით გაწვრთნილი და აღზრდილი პირი. მართალია, მარტო ესეც არ კმარა, საამისოდ კიდევ ბევრი რამეა საჭირო, მაგრამ თუ სხვა და სხვა დარგის წვრილმანი ცნობების შეძენაში დიდი მნიშვნელობა მიუძღვის პატარაობიდგანვე გაზეპირებულს და დანასწავლს, ზნეობის შეგნებაშიდაც რატომ არ უნდა იყოს სასარგებლო და სასურველი ამნაირი წინასწარი მუშაობა და გონების მიჩვევა? ყველაფერს ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მომავლისათვის! თუ სხვა რამის შეუსწავლელობას ბავშვების წვრთნის ნაკლად ვსახავთ და კიდევაც ვეშურებით, შვიდი-რვა წლიდგანვე ბავშს დავაწყებინოთ სხვა და სხვა ლრამატიკული, საანგარიშო და საისტორიო ცნობების შესწავლა, რატომ უნდა იყოს დავიწყებული და ყურადღება მიუქცეველი ის მხარე, რაიც სამერმისოდ ადამიანს ჰქმნის ადამიანად, და რითაც უნდა ირჩევოდეს იგი სხვა დანარჩენ ცხოველთაგან?! რაღა დროს ჩივილი და გლოვაა მოასაკებული ადამიანის სხვა და სხვა ცუდი საქციელისა და უზნეობის შესახებ, როდესაც წინდაწინ არავითარი ღონე

არ არის მიღებული, და შემთხვევის ამარად არის დატოვებული ადამიანის გონება სწორედ მაშინ, როდესაც იგი იმჩნევს შთანასახს მომავალისას და როდესაც ინასკვება მისი საფუძველი!.. რამდენადაც მარჯვე ვართ ამ შეგვიანებულ გლოვაზე, იმდენად სუსტი და ხელაღებული ვართ წინასწარ მომზადებაზე. მართალია, ეს საგანი საჭირო არც იქნებოდა, რომ თვით საზოგადოება იყოს ზნეობრივად მაღალი, მაშინ თვით იგი იქნებოდა ნორჩი გონების მწვრთნელი! მაგრამ რადგანაც ასეთს საფეხურს ჯერ ბევრი გვიკლია, და თვით ევროპის დაწინაურებულ ერებსაც კი დასჭირვებიათ ზნეობის ცალკე სასწავლო საგნად შემოღება სასწავლებლებში. რასაკვირველია, ჩვენ უფრო უნდა ვსაჭიროებდეთ ამგვარ რამეს.

მართალია, ჩვენ სასწავლებლებში ზნეობრივ სწავლად არის საღმრთო სჯული შემოღებული და ამით მართლაც და კარგი საშუალება ეძლევა ბავშს ზნეობრივ ცნობების შეძენის, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი, რომ ბავშის გონებისათვის ყოველგვარი ზნეობრივი აზრი იქნეს გარკვეული და ცხადწარმოსადგენად გარდაქმნილი. ბევრი არის ისეთი კითხვა, რომელსაც საღმრთო სჯულის სწავლების გეგმა არ ეხება და არც შეიცავს. ამნაირად ეს ნაკლი არაფრით არ სრულდება და თითქმის სამუდამოდ ნაკლადვე რჩება. უცხოეთში ხშირად ნახავს კაცი იმნაირ ადამიანს, რომელსაც ძალიან ნაკლებად, ან და სულაც არ შეუსწავლია საღმრთო სჯული, მაგრამ ზნეობა საგნად უსწავლია სასწავლებელში და ცხოვრებაში სამაგალითოდ მტკიცედ და პირნათლად ასრულებს ყოველგვარ ზნეობრივ მოვალეობას, როდესაც ბევრი, ათი მცნების ზეპირად მცოდნე და მუდამ თვალწინ მისი მექონე არ ერიდება ხშირად არავითარ საზიზღარ საქციელს და სიავეს. და სწორედ ამიტომაცაა, რომ ძალიან საჭიროდ არის მისამჩნევი საღმრთო სჯულის სწავლებასთან ერთად ეხვა ზნეობრივი სწავლის გადაცემა და გონებაში შთანერგვაც.

ამგვარი რამე თუ დააწინაურებს საქმეს და უფრო განამტკიცებს ადამიანის ზნეობრივს პირადობას, თორემ საზარალო და უმნიშვნელო არ იქნება. ამიტომაც ჩვენ განვიზრახეთ ხანდახან მკითხველებს მივაწოდოთ საამისო მასალა საგულისხმოდ და სახელმძღვანელოდ და მეტადრე მოზარდ თაობაზე გარდასაცემად. საამისოდ ამოვკრებთ საგულისხმო მასალას მოკლედ და სხარტულად შედგენილს სახელმძღვანელოებიდგან, რომელსაც დრო და დრო მივაწვდით „მწყემსი“-ს მკითხველებს.

ერთი ვინმე.

რად გვეშინია სიკვდილის?

თანამედროვე ცხოვრებაში სიკვდილი ერთ საშიშარ და არა სასურველ მოვლენათ ითვლება. სიკვდილი უსპობს კაცს ამ ქვეყნად სიცოცხლეს და ასალმებს მას წუთი სოფელს, ამისათვის ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ მისი კაცს ეშინოდეს, მას კაცი უფრთხილდებოდეს და ბოლოს თითეულისთვის აუცილებელ წუთს მისი მოახლოვებისას ზიზღით და ოხვრით იგონებდეს. ყმაწვილი კაცი, რომელსაც ქვეყანა მშვენებით შემკულ ქმნილებათ აქვს წარმოდგენილი და ამ ქვეყნათ სიცოცხლე სიამოვნების საუნჯეთ მიაჩნია, რასაკვირველია, არ ისურვებს იმ ბნელ წუთს, როცა მან უცებ, უნებურად უნდა დასტოვოს ყოველივე და უგრძნობელ ქმნილებად გადაიქცეს. არა თუ ყმაწვილი, მოხუცებულიც კი, მიუხედავად იმისა, რომ მას, თითქმის, ერთი საუკუნე გაუტარებია ამ წუთი სოფელში, ბევრი მწარე დღე გამოუცდია და ბოლოს თვისი ფიზიკური ძალის სისუსტისა გამო მოსვენების მეტი აღარა შეუძლია რა, ოხვრით ამოსთქვამს ამ სიტყვას, ერთ დღეთ აღარ მიმაჩნია გავლილი ცხოვრება და კიდევ სურს იცოცხლოს ქვეყანაზე. საზოგადოდ სიკვდილი ისეთი მოვლენაა, რომლის მოგონებით კაცს ყოველი სახალისო წუთი უმწარდება და ყოლიფერზე შეხედულება ეცვლება; მაშინაც კი, როცა კაცი თავდავიწყებული სიამოვნებას არის მიცემული და ცხოვრების ყოველგვარ საჭიროებას ივიწყებს, რაღაც უცნობი ხმა მაინც აგონებს „სიკვდილიო?“; ამ სიტყვის მოფიქრება უცებ სცვლის კაცის გუნებას და ვინ იცის, რას არ ამბობს მის შესახებ. შესანიშნავი უმეტესად ის არის, რომ არავინ არ იცის, რა არის ეს საშიშარი მოვლენა. რა არის სიკვდილი, ეს დიდი ხნიდან ვამოურკვეველი და გადუწყვეტელი რჩება კაცობრიობაში, თუმცა რამოდენიმე საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ეს კითხვა წინ

დაესახა კაცის გონებას. გადაჭრილს და დამტკიცებულს პასუხს ამ კითხვაზე დღესაც ვერ ვნახულობთ. სარწმუნოება სხვანაირ პასუხს იძლევა ამაზე და მეცნიერება სხვანაირს, მათი უთანხმობა კი აფიქრებს კაცს და რაღაც გამოურკვეველ ეჭვში იჭერს მას. ისტორიას რომ მივმართოთ ამ მოვლენის შესახებ, დავინახავთ, რომ დიდი ხნიდგან სცდილობს კაცობრიობა გაიგოს, რა არის სიკვდილი და რამე საშუალება ამოაჩინოს მისგან თავის დასაფარავად, თუმცა ნამდვილი იარაღი სიკვდილთან საბრძოლველათ კაცის გონებამ ვერ აღმოაჩინა, მაგრამ იმას მაინც ამტკიცებდა, რომ სიკვდილი საშიშარი მოვლენა არ არისო. ისტორიაში ვხედავთ ისეთს დროსაც, როცა სიკვდილის ხალხის უმეტესობას არ ეშინოდა და ხშირად მხნედ ეგებებოდა მას, ბევრი მაგალითია იმისი, რომ სიკვდილს სიამოვნებითაც კი ხვდებოდენ წინ ზოგიერთები.

ბუნებისაგან მინიჭებული ძალით კაცს სურს იცოცხლოს ქვეყანაზე, რაც შეიძლება, დიდ ხანს, მაგრამ მეორე მხრით ის რწმუნდება, რომ ბუნებისავე კანონის ძალით ის, ადრე თუ გვიან, გამოესალმება ქვეყანას, მისი წარსული სიცოცხლე სიზმარივით გაქრება და უგრძნობლად მდებარე მის გვამს მიწას მიაბარებენ საუკუნოდ. აქედან წარმოდგება შიში სიკვდილის, ამ არა სასურველი მოვლენის მოახლოვებისა და სიფრთხილე მისგან, რაც შეიძლება, თავის დაფარვისა. შიში, როგორც გრძნობა, არის გამოწვეული სხვა-და-სხვა გვარი წარმოდგენილებით და გარეგნული მიზეზების გავლენით კაცის სულიერ მდგომარეობაზე. შიში როგორც ცუდი და შემაწუხებელი გრძნობა აიძულებდა კაცს რამე საშუალებით ებრძოლა მას სიკვდილთან და მით შიშიც მოესპო.

ძველ დროშიდაც გაკვირვებული იყო ხალხი სიკვდილისაგან. ძველი დროის კაცი დასცქეროდა მიცვალებული მოძმის გვამს და ეკითხებოდა თავის თავს, რა მიზეზია, რომ ასეთი ცვლილება ჰხდება კაცშიო? მიუხედავათ იმისა, რომ გონება განუვითარებელი იყო ძველი დროის ხალხი, მაინც ესმოდა მას, რომ თუმცა მკვდარი გვამი უმოძრაოდ არის, იხრწნება და ქრებაო, მაგრამ ის ძალა, რაც იმაში მოძრაობდა და მის მოძრაობაში იხატებოდა, არ იკარგება, არ ისპობა და აგრძელებს არსებობასო. ამ გვარად ძველ დროშიდვე იმ აზრის იყო ხალხი, რომ კაცი შესდგება ორი ნაწილისაგან; ერთი ნაწილი—სხეული, რაღაც მათთვის გამოურკვეველი მიზეზის გამო ჰკარგავს ყოველ გვარ მოძრაობას და ჰქრება, მეორე ნაწილი—სული შორდება პირველს და უხილავად გადადის სხვა მდგომარეობაშიო. რა მოელოდა სულს სხეულის მოშორების შემდეგ, ამას ბევრ ნაირად ხატავდა ოცნება ძველ დროში; ბეჯითათ კი არ იყო გამორკვეული, მაგრამ საყურადღებოა ის, რომ ყველა ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ სიკვდილის გამო კაცის ცხოვრება, არსებობა მხოლოდ იცვლება და არ ისპობაო; ამისათვის ერთი მეორეს შორის კიდევ არის კავშირი, თუმცა ეს თვალისაგან უხილავი რჩებაო. ასეთი წარმოდგენილებით და რწმენით გამსჭვალულს ხალხს დიდად აღარ ეშინოდა სიკვდილის. საზოგადოდ ძველი დროის კაცი ბუნების ძალას ემორჩილებოდა და ცოტათ თუ ბევრათ ეთანხმდებოდა მას.

სულ სხვა აზრის და შეხედულების იყვნენ სიკვდილზე საბერძნეთის და რომის ძველი ფილოსოფოსები. ფილოსოფოსებს თვითონ კაცზე, მის სულზე და ქვეყნიურ ცხოვრებაზე სხვა-და-სხვა ნაირი შეხედულება ჰქონდათ და სიკვდილზედაც ყველანი ერთი აზრის არ იყვნენ. პლატონი, მაგალითად, ამბობდა „სულის უკვდავება და მომავალი ცხოვრება მხოლოდ იმედია და არა ჭეშმარიტებაო». სოკრატი ეჭვში იყო და ამბობდა: „სიკვდილის შემდეგ ან ვიცოცხლებთ კიდევ, ან არაო, საშიში კი არც ერთ შემთხვევაში არ არის სიკვდილიო». სენეკა ამბობდა: „სიკვდილი არის ყველასათვის აუცილებელი და ყველას გამათანასწორებელი მოვლენაო, საშიში კი არ არის, რადგან მას შემდეგ უფრო თავისუფლათ და მშვიდობიანათ იქნება კაციო“. სენეკა ძლიერ სცდილობდა, რომ სიკვდილის შიში მოესპო ხალხში, საკუთარი მაგალითითაც აჩვენა ყველას, რომ სიკვდილს კაცი მხნედ და მშვიდობიანად უნდა შეხვდესო. ფილოსოფოსების სწავლას და დარიგებას ხალხზე თუმცა გავლენა ჰქონდა, მაგრამ სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მათ სულიერ მოთხოვნილებას და ნამეტურ სიკვდილის წინააღმდეგ ვერ ამხნევებდა. ასე რომ ფილოსოფოსების აზრები თითო ოროლას თუ ამხნევებდა, თორემ უმეტესობა ისევ თრთოდა სიკვდილის მოფიქრებით და ვერაფერ საშუალებას ვერ ნახულობდა მასთან საბრძოლველად.

ქრისტიანობამ შესცვალა ძველი დროის შეხედულებანი სიკვდილზე. როდესაც ქვეყნად მოეფინა ქრისტეს მიერ მოტანილი ჭეშმარიტების სხივები და ქრისტიანობამ გაიდგა ფესო ხალხში, სიკვდილზე

ახალი შეხედულება დამყარდა. ქრისტიანობამ დაარწმუნა ხალხი, რომ ქვეყნიური ცხოვრება არის დროებითი, ის მხოლოდ ამზადებს კაცს მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის, რომელიც სიკვდილის შემდეგ იწყებაო. ქრისტიანობა ცხადად უხატავდა ხალხს მომავალ საუკუნო ცხოვრებას და ასმენდა, რომ ყველა რიგიანად მომზადებულიყოს მისთვის, რადგან სრული ნეტარება, მხოლოდ იქ შეიძლება იქინიოს კაცმაო. ასეთი აზრებით გამსჭვალული კაცი და სრულიად დარწმუნებული ქრისტიანობის ჭეშმარიტებაში, სულით და გულით სცდილობდა მართლაც კარგად მომზადებულიყო აღთქმული მომავალი ცხოვრებისთვის; ამის შემდეგ სიკვდილი, როგორც ერთი აუცილებელი წუთი მდგომარეობის შეცვლისა, აღარ აშინებდა კაცს და თუ მას იმედი ჰქონდა, რომ ის აღთქმული ნეტარების ღირსი გახდებოდა, მაშინ სიკვდილი სასიხარულო მოვლენას წარმოადგენდა მისთვის. ყველა გულითადი მაძებარი იყო უკეთესი ცხოვრებისა და თუ ეს კაცს სიკვდილის შემდეგ მოელოდა, მაშასადამე, ადვილი წარმოსადგენია, რომ მას სიკვდილის აღარ შინებოდა. ასეთი სულიერი ძალა მისცა ხალხს ქრისტიანობამ სიკვდილის წინააღმდეგ; მარტო ამ სულიერი ძალის გავლენით აიხსნება ის, ეხლა ყველასათვის გასაკვირველი, მაგალითები წმიდა წამებული მოწამეებისა, რომლითაც სავსეა საეკკლესიო ისტორია პირველი საუკუნოებისა. ეხლა ბევრს უკვირს და ვერ წარმოუდგენია, რა მხნეობას იჩენდნენ მორწმუნენი წამების დროს, რა აღტაცებით ეგებებოდენ ისინი სიკვდილს და რა სულგრძელებით შესცქეროდენ მწამებელთ! ასეთი შემთხვევების მიზეზი იყო ის, რომ მორწმუნეთ ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი ცხოველი სიყვარული მღვთისა და კაცისა; მათ სწამდათ, რომ სიკვდილი კარებია მომავალი სანეტარო ცხოვრებისაო. ასეთი მხნეობით ხვდებოდნენ სიკვდილს არა მარტო პირველ საუკუნოებში, როცა კიდევ ცოცხლად უდგათ თვალ წინ მაცხოვრის ქადაგება და მისი წმიდა მოციქულების მაგალითები, არამედ მთელი საშუალო საუკუნოების მიმდინარეობაში. საშუალო საუკუნოებში სიკვდილის მოახლოვების დროს კი არ ნანობდნენ ქვეყნიური ცხოვრების მოშორებას და უკმაყოფილებას კი არ იმჩნევდნენ, ლოცვით და კეთილი სიტყვებით ათავებდნენ სიცოცხლეს. ქრისტიანული იმედი და სასოება შიშს აქრობდა და სინათლის სხივებსა ჰფენდა მომაკვდავის სულიერ მდგომარეობაში. თამამად და მშვიდობიანად სიკვდილის შეხვდერა ჩვეულებრივი შემთხვევა იყო უწინ და არა მარტო დაბალ ხალხში.

ტ. ჯაფარიძე.

(დასასრული შემდეგ №-ში).

„მწყემსის“ კორესპონდენცია

ს. ნაჯახოდან

(სენაკის მაზრა)

საზოგადოთ ცნობილია, რომ მოღვაწე, რომელიც ძალ-გამეტებით და პირუთვნელად არ ებრძვის უმეცრებას, ვერ გაიმარჯვებს—ვერ მიაღწევს თავის მიზანს. მხედარი, რომელიც თავდაუზოგველად არ იბრძვის, ვერ გაიმარჯვებს მტერზე. მწყემსი, რომელიც წყენას ერიდება, ვერას გააკეთებს თავისს მწყემსურ სარბიელზე. ვისაც გაუვლია ცხოვრების გზა და კკალი არ დაუშთენია, ის ჰგავს მძაფრი ქარის წამიერ შეწყვეტას; მდინარეზე ნავისაგან დანაშთ კვალს. იმას (მწყემსს) ავიწყდება თავისი ცხოვრების და კერძოთ სამსახურის მიზანი ის ჩაფლულია ცხოვრების მორევში და გზა ვერ გაუკვლევია. კარგს დიასახლისს თავისს ოჯახში ყოველისფერი მიწყობილ-მოწყობილი აქვს. მწყემსის სამსახური მარტო «ღვთის-მსახურების» შესრულებაში როდი მდგომარეობს—ის მეტად რთულია. თითოეულ სულიერ მწყემს მუდამ თვალ წინ უნდა ედგას, თუ რისთვის არის იგი მოწოდებული და რა გაუკეთებია.

ჩვენს ეკკლესიას ჰყავს მრევლი 500-მდე კომლი. ეკკლესია არის ქვიტკირისა - სრული. იგი აშენებულია 1867—1869 წლებში, მაგრამ ჯერეთაც არ არის იგი რიგიანად მოწყობილი: არა აქვს კანკელი, სამრეკლო და სხ ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ, გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსად მყოფობის დროს, მრავალ გზის განუმარტა მრევლს და კრებულს ეს ნაკლი, მაგრამ ყოვლად სამღვდელოს სიტყვა დარჩა «ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!» შეიძლება მკითხველმა მრევლის ასეთი გულ-გრილობა მიაწეროს მრევლის სიღარიბეს. მაგრამ ეს ასე არ არის. ყველამ კარგათ ვიცით, რომ 400 მანეთად გვარიან კარგი კანკელის შეძენა შეიძლება და 500 კომლში

თითოს 80 კაპეიკი შეხვთება და ასეთი მცირე შესაწირავის გამოღება, ვგონებ, არავის გაუჭირდება. მაგრამ ამისი მოთავეც რომ აღარ გამოგვიჩნდა. ამ სამრევლოში არიან ზოგიერთი «ინტელიგენტები», რომელთაც კარგათ ესმისთ ეს და თავისი მხრითაც გულ-შემატკივრობას იჩენენ კიდეც, მაგრამ ტანს უფეხოთ როგორ შეუძლია სიარული. «ინიციატრია» საჭირო და ეს არა გვყავს, შემოსავალიც არა მცირე აქვს ამ ეკკლესიას, მაგრამ სად მიდის ეს შემოსავალი, არ ვიცით. რამდენიმე წელია, მზრუნველებიც ჰყავს ამ ეკკლესიას, მაგრამ ამ მზრუნველებმა ჯერ კიდევ არ იციან თავიანთი მოვალეობა, რადგან (როგორც ისინი ამბობენ) «წესდება" არა აქვსთ ჯერ მიღებული! რა საჩქაროა, მოესწრებიან! რამდენჯერმე მოისურვეს მზრუნველებმა შემოსავალ-გასავლის ანგარიშების შეტყობა, მაგრამ ვერ ეღირსნენ ანგარიშის მიღებას. აქაო და შემოსავალ-გასავლის წიგნი კრებულის «მახლობელ უფროსს" აქვს და ჯერ არ გამოუგზავნიაო. მეორეთ, მესამეთ და მეოთხეთ სულ ამნაირი პასუხი მიიღეს მათ. კრებულის უფროსთან მიიქცნენ და თხოვეს: უბრძანეთ დაგვისწრონ ეკკლესიის ანგარიშების ჩამორთმევის დროსაო, მაგრამ იცით, მკითხველო, რა უპასუხა „უფროსმა": თქვენი საქმე არ არის ამაზე ლაპარაკიო. რაღას იქმოდენ — თავი დაანებეს. ძალა აღმართსა ხნავსო. მართალია, თუ კრებულის მახლობელმა უფროსმა ყური არ ათხოვა იმათ თხოვნას, ქონდათ იმათ სხვა გზაც, მაგრამ ორმა-სამმა რა ჰქნას ბევრის და განსაკუთრებით, „ვისიც რიგია", იმათ წინააღმდეგ. ამიტომ მირჩა ეს საქმე. ეკკლესიას 200 მანეთამდე აქვს გაფანტული.

აგერ 15—16 წელია, რაც ამ ეკკლესიას ჰყავს ერთი და იგივე მნათე, მაგრამ მას დღესაც არა აქვს ცნობაში მოყვანილი ეკკლესიის შესავალ-გასავლის ანგარიში. განა არ შეიძლება მის ნაცვლად ახალი მნათეს დანიშვნა? ვგონებ, კანონით ყოველი სამი წ. გამთავეს უნდა აღრჩეულ იქმნეს ახალი მნათე, მაგრამ ჩვენამდის ამ კანონს არ მოუღწევია. ხსენებული მნათე ეკკლესიის შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს არა თუ თთვეობით, წლობითაც არ ადგენს და თავს იმართლებს, რომ შემოსავალ-გასავლის წიგნი „კრებულის უფროსს" აქვსო.

ვისურვებთ, რომ ამ სამწუხარო მოვლენას მიექცეს ყურადღება, ვისიც რიგია და აწი მაინც აღიმაღლონ ხმა, და გაფანტული საეკკლესიო ფულები იქმნეს შემოტანილი და მომავალში თავ-თავისს დროზე და რიგისამებრ აწარმოვონ ეკკლესიის შემოსავალ-გასავლის წიგნი. *)

ადგილობითი გულშემატკივარი.

საახალწლოდ

(ძველი და ახალი)

ველთა ჩვენთა სარბიელი,
საარაკო საქციელი
ამტკიცებენ: მათ არ ვგავვართ,
არც ბარელი, არც მთიელი.

«ძმა ძმისთვისო, შავდღისთვისო»
კარგათ ჰქონდათ შენათვისი,
როგორც ჭირში, ისე ლხინში
ერთად იყვნენ ძმა და თვისი.

თავგანწირვით ჯიუტობდენ,
მტრებს წვადს მიწას არ უთმობდენ,
მტერი თუმცა ღვთისრისხულად
ერთზე, ასი მოდიოდნენ!

მტკიცედ სწამდათ ქრისტეს სჯული,
ბევრი მისთვის დატანჯული
დღეს მოწამედ იხსენება,
თვით ქრისტესებრ ჯვარზე ცმული.

ქრისტეს რჯული და მამული
მათთვის იყო სულზე ტკბილი,
ამ ორისთვის სისხლი სისხლზე
ურიცხვია მათგან ღვრილი.

მანგოლები საოცარი!
და მურვან ყრუს დიდი ჯარი
უთვალავი მოჩხუბარი
მათთვის იყო უებარი?!

---

*) სამრევლო სამზრუნველოს არა აქვს უფლება ანგარიში მოსთხოვოს ეკკლესიის მნათეს. რაიცა შეეხება ეკკლესიის ანგარიშს ცუდათ წაყვანას, ეს, სამწუხაროდ, არა ერთგან არის შენიშნული. ჩვენ დანამდვილებით შევიტყეთ, რომ ყ-დ უსამღვდელოესს ეპისკოპოსს ალექსანდრეს დაუნიშნავს მკაცრი გამოძიება ყველა იმ უწესრიგო მოქმედების შესახებ, რომელიც მოყვანილია კორრესპონდენციაში გულშემატკივრისაგან. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ მათი მეუფება ყ-დ სამღვდელო ალექსანდრე ბოლოს მოუღებს ამ უწესოებათა და ვალდებულს ყოფს, რომ ყველამ თავისი მოვალეობა მტკიცედ და კანონიერად აღასრულოს. ვაბრთხილებთ ყველას, რომ მათი მეუფების დროს არ შერჩებათ ზოგიერთ მნათეებს უწესრიგო მოქმედებანი, რომელიც დღემდის შერჩენიათ.

რედაქტორი.

ვის არ ესმა ლანგთემური,
ჯარი, ძალა მათებური?
ქართველების ამოსრესა,
შავი დღეი უბედური!?
აღამამადხანი მგელი
სისხლის მსმელი, სისხლის მღვრელი,
ააოხრა ქართველების
ყველა კუთხე და სოფელი!
შაჰბაზი აქ წვეული,
ჯარი მისგან მოსეული,
ქართველთ სისხლით ვეღარ გაძღა
ის წყეული, ის წყეული!..
ქართველთ ჟლეტა მაშინდელი,
საარაკო სახილველი,
რკინის გულსაც აატირებს
მოსაგონად საშინელი.
ერთის მხირიდან ოსმალეთი,
მეორე მხრით მთლად სპარსეთი,
მეზობლები: ლეკი, ოსი,
ვინ არ ხოცდა, მითხარ ერთი?
ხან ერთს სურდა, ხან მეორეს,
ომი ხშირად იმეორეს,
ჟლიტეს, სრისეს, მკვდარი მკვდარზე
ზვინ-ზვინებად დააგორეს!
საქართველო მთელად ბალი,
სამოთხისებრ თვალთ სანახი,
უნდოდათ, რომ ხელში ეგდოთ
სულის, გულის გასალაღი.
მისთვის, ბევრჯერ აასრულეს...
მათვე სისხლში ააცურეს,
მაგრამ გულის საწადელი
ვერას გზით ვერ აისრულეს!
ქართველებმა მთა და ბარი,
მათი სისხლის დანაღვარი,
მაინც არვის დაანება
შეირჩინა როგორც არი.
ცოტა იყვნენ, მაგრამ მტერი
გააქციეს ზოგჯერ ბევრი,
ჩამოუდგენ უკან ხმლითა,
ადინეს ზურგზე მტვერი.
მათი დროის, ყველაფერი
მტკიცედ ჰქონდათ შენაფერი,
ერთს და იმავ მიზანს სდევდა
ყრმა, მოხუცი, ერი, ბერი.

ასე მცკიცე, მხნე ძმურობით,
ვაჟკაცური დიდ-სულობით
მტერი ჟლიტეს, თვითც იჟლიტეს,
რისთვის? - ქვეყნის ერთგულობით.

ვით მამულის მტკიცე მცველი,
არსებობა ჩვენი ძველი
შეირჩინეს და გადმოგვცეს
წინ სვლის დროშა სისხლით სველი!!

ასე გვითხრეს: „ა, შვილებო,
ნებივრობით დაზდილებო,
აჰა დროშა გამარჯვების,
უდაური, უცილებო...

ჭირნახული ეს ქვეყანა,
ბევრჯენ სისხლით გაიბანა,
აჰა დროშა და ქვეყანა,
ვერ მოუვლით ა ი განა?

ძლიერ მეფეს ჩაგაბარებთ,
შემდეგ ანდერძს დაგიბარებთ:
უერთგულეთ დიდსა მეფეს
და ის კალთას დაგაფარებთ.

ჯაჭვი, ზუჩი, ფარი, შუბი,
თოფ-ხმალ-ხანჯლით სხაპა სხუპი:
აწი აღარ დაგჭირდებათ
შეტაკება მტერთან, ჩხუბი.

რუსთ ხელმწიფის შიშის ზარი,
მტერთა გულის შესაზარი,
მშვიდობასა მოგიპოებსთ,
შეიქნებით მუდამ მტკბარი.

დროშა ხმლითა დაფლეთილი,
ტყვიით დაცვეთ-დახვრეტილი,
მოწამეა: ეს ქვეყანა
სისხლითა გვაქვს შერჩენილი.

ნათქვამია: „მამულს უჯობს,
შვილი ჯობდეს მამასაო,
ის მშობლებსაც გარდაუხდის
ნაღვაწის წილ ამაგსაო“.

ვგავვართ რითმე იმ სულ მნათებს?!
შვილთა ვალი ჩვენც ხომ გვმართებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ღვაწლი დღევანდელი
სამერმისოთ თუ გვინათებს?
ტყვია წამლით სადმე ომი
აღარა გვაქვს მოსანდომი,
ნაცვლად მიწას შევებრძოლოთ,
ბლომად გვქონდეს გასაძლომი.

შევაბრუნოთ სარბიელი
„მუქთა ხორას“ საქციელი,
ყველა მუშა ნაყოფს იმკის
არის თავის მადლიერი.

ვიმუშაოთ, ოფლი ვღვაროთ,
შრომას ქედი წაუხაროთ,
ჩვენი ჩვენვე შევირჩინოთ,
მით ოჯახი გავახაროთ.

პური, ღვინო, მჭადი, ქერი,
კუჭის საზრდო ყველაფერი
დავახვაოთ, დავაზვინოთ,
გამოვაძლოთ ერი, ბერი.

კუჭი თუ გვაქვს მაძღარია,
მტერის საქმე წამხდარია,
სტუმარი და მასპინძელი
მუდამ ლხინობს, დამტკბარია.

ჩვენი ქვეყნის ყველა მხარე,
თუ არ გჯერა გადათხარეთ,
მადნებით, სულ ოქრო-ვერცხლით
სავსე არის, მოიხმარეთ.

სიმდიდრე გვაქვს სად, რა გინდა?
ამოცვინდა... გადმოდინდა...
შევისწავლოთ, რაც რომ გვიჯობს
საამდროვო სწავლა გვინდა.

თორემ ბევრი უცხოელი,
რომ არც იწვევ, არც მოელი,
გამდიდრდება, ჩვენ დავრჩებით
ცარიელი, ტარიელი!!.

რ. საჯაოხელი.

ჩემი სიმბოლო.

ინემ ცოცხალ ვარ ამ სოფლად
თაყვანსვსცემ იმა მცნებასა,
რომელიც გულში მიღვივებს
ძმობის, ერთობის გრძნობასა.

—

რომელიც მამხელს მოძმისთვის
არ დავიშურო თავია,
მისდა საშველად ვიხმარო
ჩემი ლონე და მკლავია...

—

არ მინდა მოძმის სანაცვლოდ
ოქრო, ვერცხლი და რვალია,
თვალ-მარგალიტი ობოლი
ბრილიანტი და ლალია.

—

არ მინდა ჩინი, დიდება,
ალმასით მკული რხმალია,
მე მინდა მოძმის ძმა ვიყო,
მივუწყო ძმური ვალია.

—

ჩემი რჯულია ჩემის ძმის
ერთობა, სიყვარულია,
ერთად სიცოცხლე, სიკვდილი,
ერთად ჭირი და ლხინია.

—

ამ მცნებით უნდა განვლიო
ჩემი სიცოცხლის ჟამია,
რომ შევასრულო პირნათლად
ქრისტეს მოწაფის ვალია.

ძაიხოსრო ბელოვანი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჟურნალი „მწყემსი“-ს რედაქციის სტამბაში იბეჭდება აკაკის ჟურნალი „კრებული“ და ამ თვის დამლევისას მიუვათ ხელმომწერთ. «კრებული»-ს I № ში, რადგანაც ამ ჟურნალმა პროგრამის გაფართოების ნება მიიღო, მოთავსებულია ბ-ნი აკაკის ნაწერებს გარდა, სხვა მწერლების სტატიებიც და შინაარსიც მეტად საგულისხმოა. ჟურნალის „კრებულის» რედაქცია ყვირილაში არის დღეს. ამ ნაირად დაბა ყვირილაში დღეს ორი ჟურნალის რედაქცია იმყოფება...

—

„მწყემსი“-ს ჟურნალზე ხელის მომწერლებს დაურიგდებათ თებერვლის დამდეგს უფასოთ კედლის კალენდარი, რომელშიაც იქნება მოყვანილი სხვათა შორის, საჭირო ცნობები კვირიაკეზე, ხმაზე და საცისკრო სახარებაზე.

—

იმერეთის ეპარქიის საეკკლესიო ნივთების საწყობში მიღებულია ყოველ გვარი საეკკლესიო ნივთები და მსურველთ შეუძლიათ იაფად მოიპოვონ. ამ საწყობშივე მოიპოვება ყოველ-გვარი მღვდლისათვის საჭირო მოწმობები, და გამოწერილობათა ქაღალდების ფორმები.

—

ჟურნალის «მწყემსი»-ს რედაქციაში და სტამბაში მოიპოვებიან ყოველგვარი წიგნაკები ზნეობრივი შინაარსისა, სასაუბრო და საკითხავი ღვთის მსახურების გარეშე, ძლიერ იაფ ფასად. ამათ გარდა რედაქცია ამზადებს კიდევ ამა წლისთვის სხვა-დასხვა სასაუბრო წიგნაკებს სამღვდელოებისათვის.

—

19 დეკემბერს ფოთის ქალაქის საბჭომ განიხილა და დაამტკიცა მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ მოისმინა იმ კომისიის მიერ წარდგენილი თხოვნა, რომელსაც ამას წინად დაევალა, იზრუნოს ფოთის მომავალ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის. თხოვნა ერთ ხმათ იქმნა შეწყნარებული. საბჭომ დაადგინა, ყოველ წლობით 300 მან. ეძლიოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. საბჭოს აგრეთვე მოხსენდა გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვაში შეტანილ იქმნას შემწეობა დედათა საეპარქიო სასწავლებლისათვის, რომელიც ყ-დ სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს მეთაურობით იქმნება დაარსებული. საბჭომ სახლის დაქირავება და მიწის მიცემა აღუთქვა. [„ივ.»

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე.

—

სიტყვა,

თქმული 29 ნოემბერსა, წმიდისა მღვდელ-მოწამისა აბიბოს, ნეკრეს ქალაქის ეპისკოპოსის ხსენების დღესა, ანჩისხატის ტაძარში.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა.

ყველა ჩვენგანს გამოცდილებით აქვს შეგნებული, რომ როდესაც იხსენება სადმე ჩვენი გულითადი პატივსადები ადამიანის სახელი, თუგინდ რომ ის ადამიანი ცოცხალიც აღარ იყოს, მაინც დიდ სიამოვნებას იწვევს ეს ხსენება ჩვენს გულში, ბევრს სასიკეთო აზრებს და განზრახვებს ჰბადავს ჩვენ გონებაში და ამ სახელის გაგონებაზე ცხადად გვეხატება იმ ადამიანის სურათი, მისი ცხოვრება, მისი შრომა და ღვაწლი, ყველაფერი ის, რასაც იგი ემსახურებოდა, რაც მას მიაჩნდა საღმრთოდ, რასაც შესწირა სიცოცხლე და ანდერძად დაუდო ჩამომავლობას. ამასთან ერთად თვითეული ჩვენგანი ცდილობს შეძლებისადაკვალად შეითვისოს ამგვარი ადამიანის ცხოვრების რომელიმე მხარე, რომელიმე სიკეთე მისი ხასიათისა, რომელიმე კეთილი მიდრეკილება მისი სულისა და ამ საშუალებით აიმაღლოს, გაიკეთილშობილოს, გაიფაქიზოს, გაიწმინდოს და შეიმკოს საღმრთო მადლით თავისი სული, გონება და ყოფაქცევა. სწორეთ ეს მაღალი და ბრძნული მოსაზრება აქვს მიზნად წმ. ეკკლესიას, რომ მუდამ დღე ჰყოფს იგი ხსენებას რომელიმე წმინდანისას. დაურღვეველად მიმდევარი ამ მაღალ აზროვანი ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულებისა, დღესაც გვაგონებს ეკლესია ერთი ღირს შესანიშნავი და ღვაწლით მოსილი წმინდანის სახელს. დღევანდელი წირვის ჩამოლოცვაში, სხვა წმინდანების სახელების შორის, უეჭველია, გაიგონებდით წმ. მღვდელ-მოწამისა, აბიბოს, ნეკრესის ეპისკოპოსის სახელსაც. დიაღ, გაგონებით კი გაიგონეთ, მაგრამ გამოიწვია მან თქვენს **გონებაში** რომელიმე საღმრთო აზრები და წარმოდგენანი? დაგიბადათ მან საღმრთო და კეთილნი სურვილნი? გაგითვალისწინათ ამ სახელის გაგონებამ აბიბოს მოღვაწეობა, მისი ცხოვრება და წამება?

არა, გაბედვით შემიძლიან ვთქვა, რომ ბევრს მხოლოდ ყურის ახლო გაურბინა ამ სახელმა; აქ მყოფთა მომეტებულ ნაწილს აზრათაც არ მოსვლია დღევანდელი წმინდანის სახელზე ჯეროვანი ყურადღების მიქცევა, თითქმის არც არავინ იცოდა ამ წამამდე, რომ დღეს ქართული ეკლესია აღასრულებს აბიბოს ხსენებასა და ამის გამო, რასაკვირველია, არც არავინ შეჰვედრებია გულმხურვალედ ამ წმინდანს, არც არავის აუნთია მისთვის სანთელი, არავის გამოუთხოვნია თავისთვის და თავისი ოჯახეულობისთვის ამ წმინდანისაგან ღვთის წინაშე დახმარება და მეოხება.

თქვენ თითონ ჰსაჯეთ, საყვარელნო მსმენელნო, რამდენად სათაკილოა, მავნე რომ არ იყოს, ამ გვარი გულცივობა და დაუდევრობა სამშობლო ეკლესიის წმინდანების შესახებ, რაზომ დამამცირებელი და უკადრისია ამისთანა უმადურობა იმ პირებისადმი, რომლებთაც ჩვენი ბედნიერებისათვის, ჩვენი სულიერი წარმატებისათვის არ დაუზოგნიათ სიცოცხლე და ჩვენი სიყვარულის გამო დაკლულან ზვარაკებად!

ღვთისა და ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის ჩაგონებით მოსული ასურეთიდან საქართველოში წმ. იოანე ზედაზნელთან, შიო მღვიმელთან დ სხვათა ათ-ცამეტ მამებთან ერთად, ნეტარი აბიბოსი მნათობდა ნეკრესის სამღვდელმთავრო ტახტზე და მწყსიდა თავისი მადლიანი სწავლა-ცხოვრებით საუცხოვო კახეთის შვილებს. იმ დროს მთლად ჩვენი ქვეყანა დაპყრობილი ჰქონდათ სპარსელებს, რომლებიც თაყვანსა სცემდნენ ცეცხლს და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ თავიანთი სარწმუნოება გაევრცელებინათ ქართველებში. სასიხარულოდ სპარსელებისა, არც თუ უნაყოფოდ რჩებოდა მათი მეცადინობა: ქართველები, ზოგი უმეცრების გამო, ზოგი მხდალობისა და ხასიათის სისუსტის გამო, ზოგი სარგებლობის გულისთვის, თავს ანებებდნენ ქრისტიანობას და, ნაცვლად ჭეშმარიტი ღვთის მსახურებისა, წყებულობდნენ ცეცხლის თაყვანისცემას. სპარსელებმა აგეს ბევრგან კერპები, რომლებზედაც ენთო გაუქრობელად ძლიერი ცეცხლი და მცხოვრებლების ყურადღების მისაზიდავად დიდის განცხრომით ასრულებდნენ მოგვები ცეცხლის მსახურების წეს-რიგს. რა კითხი უნდა, ყველაფერი ეს დიდათ აწუხებდა და აღონებდა რჩეულ მღვდელმთავარს; იგი ბეჯითად და გამუდმებით აცნობებდა თავისს სამწყსოს ქრისტიანობის სინამდვილეს, სიწრფელით უჩვენებდა ყველას ცეცხლთაყვანისმცემლობის შეცდომა-ამაოებას და მუდამ დღე მუხლ დადგენით ევედრებოდა ღმერთს სპარსელების საცთურიანი სწავლა-მოძღვრების ძირიანად დამარცხებისა, მოსპობისა და განადგურებისათვის საქართველოში... ნეტარმა მღვდელ-მთავარმა აიღო ერთხელ წყლით სავსე ჭურჭელი და ღვთის სახელის ხსენებით დაიწყო ყოველგან სპარსელების სათაყვანო ცეცხლის ქრობა. სპარსელებმა დიდათ იუცხოვეს ესეთი გაბედული ქცევა წმ. მამისა, აღელდნენ, გაბრაზდნენ და აღშფოთდნენ უმაღლეს ხარისხამდე; მაშინვე შეიპყრეს აბიბოსი, ჰსცემეს, სტანჯეს ათასგვარად და ჩასვეს საპყრობილეში, ამასთან დაუყონებლივ აცნობეს თავიანთ უმფროსს ქართლში, რომ ნეკრესის ეპისკოპოსმა დიდი უბედურობა, საშინელი შეურაცხება და არა მოსათმენი დამცირება მოგვაყენა სპარსელებსაო, მან გააქრო ჩვენი სათაყვანო ცეცხლი, ე. ი. შეაგინა, დაჰგმო და მოჰკლა ჩვენი ღმერთიო.

განჩხლებულმა უმფროსმა სისწრაფით დაიბარა თავისთან აბიბოსი, დაიბარა, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ ეწამებინა, ეტანჯნა და, თუ არ შეინანებდა თავისს საქციელს, მოეკლა კიდეც. კარგად იცოდა აბიბოსმა, რისთვისაც იბარებდა მას სპარსელების უმფროსი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიამოვნებით გაუდგა გზას და დიდი მადლობა აღუვლინა ღმერთს, რომ იგი გახდა ღირსი მოწამეთა გუნდში ჩარიცხვისა. ბევრგვარი ტანჯვა-წვალებანი მიაყენეს სპარსელებმა გზაში წმ. აბიბოსს, მაგრამ სულ ამაოდ და მუქთად დაშრვნენ იგინი? აბიბოსს მტკიცედ უყვარდა ქრისტე მაცხოვარი, დიდ შეცდომად მიაჩნდა ცეცხლის მსახურება და ამის გამო შეურყევე

ლად ადგა თავისს აზრს, მას სწყუროდა მხოლოდ დაენახვებინა ყველასთვის სპარსელების გონების სიბნელე, მათი სულიერი სიგლახაკე და თავისი საღმრთო მაგალითით გაემტკიცებინა ქართველები ქრისტეს სარწმუნოებაში. მოვიდა თუ არა მცხეთაში, წამებული აბიბოსი გაეშურა სვეტი ცხოვლის ეკკლესიაში და შეავედრა თავისი თავი უფალს. შემდეგ აბიბოსმა გამოსთხოვა სპარსელებს ნებართვა ღირს მამა შიო მღვიმელთან მისვლისა. სპარსელებმა აუსრულეს წმ. მამას თხოვნა. აბიბოსმა აცნობა ღირს მამა შიო მღვიმელს დაწვრილებით თავისი გარემოება და სთხოვა მას: შემავედრე შენგან შეყვარებულს უფალს, რომ მომენიჭოს მე მხნეობა სიამოვნებით დავითმინო მომავალნი წამებანი ქრისტე იესოს წამებისათვის. ქრისტიანული სიყვარულით შეუსრულა ნეტარმა შიომ გულითადი თხოვნა თავისს წმინდა თანამოძმეს და აი ამ წმინდა ლოცვით გამხნევებულ-განტკიცებული წარუდგა უშიშრად აბიბოსი სპარსელების უმფროსს პასუხის საგებლად.

როგორ გაბედე ჩვენი ღმერთის მოკვლაო, შეჰკითხა მას რისხვა-წყრომით ურწმუნოთა უმფროსმა. ზეციური მშვიდობით აღვსილმა აბიბოსმა დალაგებით და დაწვრილებით აუცნო უმფროსს შეცთომილება და უაზრობა ცეცხლის მსახურებისა, აუხსნა, რომ ჭეშმარიტება მარტო ქრისტეს მოძღვრებაშიაო და ურჩია ქრისტიანობის მიღება. უმფროსი უფრო გარისხდა მის წინაშე მდგომი ეპისკოპოსის გაბედულებაზე და გულწყრომით ეკითხება მას ხელმეორედ: როგორ გაბედე ჩემი ღმერთის მოკვლაო. აბიბოსმაც უფრო გარკვევით და ცხადად დაანახვა სპარსელს სიცრუე მისი სარწმუნოებისა და მეორედ მისცა მას რჩევა შესდგომოდა იესო ქრისტეს. ახლა კი სპარსელს სრულებით დაეკარგა მოთმინება: სიბრაზით მიჰვარდა აბიბოსს, სცემა, სტანჯა და უბძანა თავისს ხელქვეითებს მისი ჩაქვავება და სიკვდილის შემდეგ მისი სხეულის გადაგდება მინდორში ფრინველთა და ნადირთათვის შესაჭმელად. მაგრამ ნეტარ არს, რომლისა ღმერთი იაკობისი შემწე არს მისა და სასოება მისი არს უფლისა მიმართ ღვთისა მისისა. ვერც მხეცთა და ვერც ფრინველთა ვერ იკადრეს წმინდა მოწამის გვამის შეხება, თუმცა დიდხანს იყო იგი მინდორში და უმფროსის განკარგულებით თვალყურს ადევნებდნენ სპარსელები, რომ ქრისტიანებს არ დაესაფლავებინათ. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, როდესაც სპარსელებს მოსწყინდათ წმ. გვამის ყარაულობა, ბერმონაზნებმა და სასოებით აღვსილმა ქრისტიანებმა დაკრძალეს ეს წმინდა გვამი შესაფერი პატივისცემით და დიდებით მცხეთაში.

ასე იშრომა და ეწამა ქრისტეს სახელისთვის საღმრთო მოწამე აბიბოსი!

მართალია, საყვარელნო მსმენელნო, ველარც სპარსელნი და ველარც სხვა ვინმე ჭკუაცთომილნი ველარ გაბედვენ დღეს ჩვენი საღმრთო სარწმუნოების ამგვარი კადნიერებით შელახვას, აღარც ერთს ქრისტეს მმოსავს აღარ უნდა ეშინოდეს იმგვარი მტარვალებისა, როგორიც იყვნენ წმ. აბიბოს მაწამებელნი, დაუძლურდნენ, დამცირდნენ და თითქმის დედამიწის ზურგიდან აღიხოცნენ კიდეც ის მტრები, რომლებიც სდევნიდნენ, არბევდნენ, აწამებდნენ და ხოცავდნენ ძველად ჩვენ მამა-პაპას ქრისტეს სარწმუნოების ერთგულობისა და თავდადებული სიყვარულის გამო, მ-გრამ რას ვხედავთ დღეს ჩვენ შორის? რა გვექნა დღეს ის მტკიცე და მხურვალე სიყვარული სარწმუნოებისა, რომელიც გმირად ხდიდა ჩვენ წინაპართა, რომელიც არაფრად ჰყოფდა მათთვის ცეცხლისა, მახვილისა, საპყრობილესა და წამების სიმწვავეს? გაქრა, წავიდა და უცნობი ხილი გახდა დღეს ჩვენთვის ეს აუარებელი მტერთა სიმძლავრის დამძლეველ-დამშრეტელი ძალა, ეს საუკეთესო სულიერი სამკაული ჩვენი მამა-პაპებისა; გაქრა და მოინელა ეს სასწაულებრივი ძალა დღეს ჩვენ შორის იმ უჩინარმა და მახვილ-მოკლებულმა მტერმა, რომელიც დაბინავებულა ჩვენ გულში და სახელად ეწოდება სარწმუნოებრივი გულცივობა, ანუ საღმრთო წერილის ლექსით «ნელ-ტფილობა». სარწმუნოებრივი დაუდევრობა და გულგრილობაა თავი და თავი მიზეზი, რომ ამ წამს ვერა ვხედავთ ჩვენთან ერთად იმ ჩვენ თანამოძმეებს, რომლებიც მოვალენი არიან აქ ყოფნისა. მაგრამ განა მარტო აქა ვხედავთ ამ სავალალო სურათს? არა, ყველგანაც ცარიელებია ეკკლესიები და მღვდლები უბძანებენ „მშვიდობა ყოველთასა“ მარტო მედავითნეებს და მნათეებს.

გულგრილობა სარწმუნოებაზე არ არის ურწმუნოება. არა, სარწმუნოება ყველასა გაქვთ. ამისი უარისყოფა, ამისი დაუნახაობა ჩვენის მხრით იქნებოდა უკადრისი ცილის წამება, უსაბუთო დამცირება და უტიფარი შელახვა თქვენი სულიერი მშვი-

მღვ.-მოწ. **აბიბოს**, ნეკრესის ეპისკოპოსი.

დობიანობისა. სამწუხაროა მხოლოდ ისაა, რომ დღევანდელი თქვენი სარწმუნოება აღარ არის მოქმედი და ცხოველი, რომ დღევანდელ თქვენს ცხოვრებამოქმედებაში აღარ სჩანს ამ სარწმუნოების გავლენის კვალი. მძიმე და მომაკვდინებელი ცოდვაა ურწმუნოება, მაგრამ აღარაფრით დაუვარდება მას სარწმუნოებრივი გულკივობაც, ანუ «ნელ-ტფილობა». აი რას უბძანებს ღმერთი წმ. იოანე ღვთის-მეტყველის პირით ლაოდიკიის ეკკლესიის ანგელოზს: ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ და არცა ტფილი... მეგულვების აღმოგდება შენი პირისაგან ჩემისა (გამოცხ. 3. 15 - 16),

უკუვაგდოთ, ძმანო, ჩვენგან ღვთის განმარისხებელი ნელ-ტფილობა, აღვინთოთ გულთა შინა ჩვენთა საღმრთო შური ღვთის სახლის სიყვარულისა და ვიქმნნეთ შეძლებისადაკვალად მუდამ მიმდევარნი სარწმუნოების გულმოდგინე, ცხოველი და მოქმედი სიყვარულისა, რომლის ბრწყინვალე მაგალითს წარმოგვიდგენს დღევანდელი წმინდანი, ნეკრესის ეპისკოპოსი, მღვდელ-მოწამე აბიბოსი. ამინ!

ეპისკოპოსი გორისა, **ლეონიდი**.

ოჯახის კერა

მამა კაცი და დედაკაცი.

I.

(რუსულიდან)

გაგრძელება *.

ცოდვები.

ჩვენს დროში ბევრი მითქმა-მოთქმაა ატეხილი დედაკაცების ზნეობისა და ზედ-გავლენის შესახებ. ქრისტიანობამ დიდი სფერა მიანიჭა ქალებს ზედ-გავლენისა, თუ კი გამოიჩენენ უნარსა და გონიერად გამოიყენებენ მას. მართალი სთქვა კონფუციმ: „თუ ოჯახური მოვალეობა მტკიცედ სრულდება, მაშინ საჭიროც არ არის შორს წასვლა მსხვერპლის შესაწირავად“. იქნება ბევრ სწავლულ დედაკაცს სიცილადაც არ ეყოს ეს სიტყვები, მაგრამ მე არამც თუ უარს ვყოფ იმ აზრს ვითომც ოჯახში საქმიანობა ავიწროებდეს დედაკაცის მოქმედების ასპარეზს, არამედ აღვიარებ კიდევაც, რომ ეს ასპარეზი სიდიდით ეთანაბარება მთელი კაცობრიობის მოქმედების ასპარეზს. ადვილად შეიძლება, რომ დედა-კაცი გატაცებული იყვეს სწავლის შეძენით და ამავე დროს არ ეზიზღებოდეს ოჯახში საქმიანობა. მისი მოღვაწეობა პირველად ოჯახში იწყება და თუ ამას სთურგნის, მაშინ ყოველივე ცდა მოქმედებისა ასპარეზის გაფართოებისათვის ფუჭედ ჩაუვლის.

ადვილად შეიძლება, რომ დედა-კაცი მეცნიერი, ღრმად მორწმუნე და საზოგადო მოღვაწეც იყვეს და ამავე დროს ჭეშმარიტი მეუღლეც.

თუ მიუცილებლად საჭიროა მაგალითის მოყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ მამაკაცივით ღრმა ცოდნით გამსჭვალულს დედაკაცს ერთგული მეოჯახეობაც შეუძლია, ასეთ მაგალითად ცნობილი მარი სომმერვილის ცხოვრება უნდა ჩაითვალოს. მისი სამეცნიერო გამოკვლევანი იმდენად შესანიშნავი შეიქნენ, რომ ერთმა ჟურნალმა მისი პირველი წერილი პირველ ნაწარმოებად იცნო ყველა იმ

*) იხილე „მწყემსი“ № 22, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხზულებათა შორის, რაც კიოდესმე და სადმე დაუწერიათ დედაკაცებს. ოთხმოცდა ათის წლისაც ისე ერთგულად მოქმედებდა ოჯახში და გულ-ნათლად ასრულებდა ოჯახის მოვალეობას, რომ ყველას აოცებდა, მაშინაც საოცრად ანგარიშობდა ძნელ სამათემატიკო ამოცანებს.

ზოგნი იმასაც ამტკიცებენ, რომ როდესაც კაცი ღრმად დაფიქრებულია სარწმუნოებაზედ, მაშინ ცოტა ყურადღებას აქცევს ცხოვრების დღიურ მოთხოვნილების ასრულებასო. მაგრამ ამ აზრს ამტყუნებს მაგალითი წმ. ფრანცისკისა. ის იყო რომაელი მაღალი წოდების დედაკაცი. დაიბადა 1384 წელს და თორმეტი წლის ცოლად გაჰყვა გამოჩენილს რომაელს ლავრენტი პონცანის. „მისი მორჩილება და გულშემატკივრობა ქმრისადმი, ამბობს ალბინ ბეტლერი, სამაგალითო და შესაშინველი იყოო». ამ თვისებამ ისე ღრმად შეაყვარა იგი ქმარსა, რომ მთელ ორმოც წელს ერთად ცხოვრებაში არც ერთხელ არ შეუხვედრებიათ ერთი-ერთმანერთისათვის უსიამოვნება. მათი ცხოვრება ერთიერთმანერთის პატივის ცემასა და სამსახურს წარმოადგენდა. ქალი ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ ქმრიანი დედაკაცი ვალდებულია, თუ კი საჭიროება მოსთხოვს, რამდენიმე ხანს შესწყვიტოს სარწმუნოებრივი მოვალეობის ასრულება და ოჯახობას მიჰყოს ხელიო. მისი ცხოვრებიდან ნათლად იხატება იმისი რწმენა, რომ სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი არ უნდა აფერხებდენ ოჯახის მოვალეობის ასრულებასა, ქმრისა და შვილების კეთილ-დღეობას. მას ჩვეულებად ჰქონდა დადებილი, რომ ყოველ დღე დილის რომელიმე ჟამს ლოცვისა და სამღვთო წერილის კითხვას ანდომებდა.

როდესაც ის ერთხელ წიგნს უჯდა და კითხულობდა, მისი ფიქრები გაიტაცეს რაღაც საოჯახო საქმეებმა. მოაგონდა ანდაზაც: პირველად ის მოიმოქმედე, რაც უფრო გეახლება, ეცადე პირადი ინტერესები შესწირო ყველას, თუ კი ამას მოვალეობა მოითხოვსო». ადგა საჩქაროდ, გააკეთა ის საქმე, რომელიც მოაგონდა და ისევ წიგნს მიუჯდა. მაგრამ დაიწყო თუ არა კითხვა, ისევ შეაწყვეტინეს. ადგა მხიარულად, გულდადებით მოათავდარიგა ოჯახის საქმეები და შემდეგ ბიბლიის კითხვა დაიწყო. მაგრამ ახლაც დაუძახეს, ახლაც ოჯახურ საქმეებს შეება. შვიდ ხელ გაუმეორდა ეს სურათი, მაგრამ არც ერთხელ არ უარებია და გადაუდვია საქმე სხვა დროისათვის, არ ერთხელ არა გაჯავრებულა, არც ერთი საყვედური არ წამოსცდენია. როდესაც მეშვიდე ხელ დაჯდა და ფსალმუნის კითხვა დაიწყო, რომელზედაც შეჩერდა, დაინახა, რომ ანგელოსებმა ნიშნად მადლობისა უსაზღვრო ერთგულებისათვის ფსალმუნის სტრიქონები ოქროს ასოებით დაიწერეს. 1443 წელს დაარსა დედათა ორდენი.

დედაკაცთათვის ფილანტროპიას ყველანი სავალდებულო მოვალეობად სთვლიდენ, თუმც არ ვიცი კი, რა საბუთით ხელმძღვანელობდენ ამ შემთხვევაში. დიკკენს ცხადად არ უყვარდა ფილანტროპი ქალები და კიდევაც დაგვიტოვა რამდენიმე სახუმრო მხატვრობები. ამათში გამოხატულია ქ-ნი ჟელების ოჯახობა. ეს ადამიანი მთელ ენერგიას იმას ანდომებდა, რომ როგორმე ბორრიო ბულაგის კუნძულის მკვიდრთათვის ესწავლებინა ფორტეპიანოს ფეხების ხეხვა. მაგრამ ბევრი არ ყოფილან ქალწულნი იმ დედაკაცთა შორის, რომლებმაც თვისი ქველ-მოქმედებით მოიხვეჭეს სახელი, როგორც წმ. ეკატერინა რიგნელი იყო, ან ტერეზია ავილელი. ემეტესობას ქმარშვილიანი დედაკაცები შეადგენდა, რომელთაც საქველ-მოქმედო საქმეები არასოდეს არ უშლიდენ ხელს ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

მაგალითათ შეგვიძლია დავასახელოთ ელიზაველტა ვენგრელი, მეუღლა ლიუდოვიკ ტიურინგელისა. ის სცხოვრობდა კონრად მარბურიგელის ბნელი და ცალ მხრივი მმართველობის დროს, რომელიც განთქმული იყო ფანატიკური სარწმუნოებრივი შეხედულებით და სცდილობდა კიდევაც ინკვიზიციის შემოღებას გერმანიაში. მაგრამ მიუხედავად იმისა ცოლ-ქმრობის პირველ ხანებში, სანამ მისი ქმარი ცრუ წარმოდგენას შეითვისებდა წმიდანების შესახებ და ამით ცოლს თავის-თავის უარის ყოფას გადააწყვეტინებდა ერთგული და მოსიყვარულე ამხანაგი იყო ქმრისა. ბევრი თქმულებანი დარჩენილან მისი ცხოვრების შესახებ, რომლებიც გვიმტკიცებენ მის სინდისიერად მოქმედებას ოჯახში. მაგალითად, ერთი მათგანი გადმოგვცემს: „თურმე ამ ქალმა ერთხელ ქმარი გააჯავრა და ამის შესანანებლად ტკბილეულობა აიკრძალა და მხოლოდ ხმელი პურით და წყლით საზრდოობდა. როდესაც ერთხელ ჩვეულებრივ სადილს მოუსხდა, პური და წყალი გადიქცნენ ძვირფას შეჭამანდად და მშვენიერ ღვინოდ. მეორე

თქმულება გვეუბნება, რომ თურმე როდესაც ქალმა შეიპრალა ერთი კეთროვანი და ქმრის ლოგინში დააწვინა, და ქმარი ამაზედ გაუჯავრდა, ავად მყოფი მაშინვე გაუჩინარდა. ამ სასწაულებს იმით ხსნიან, რომ ვითომც მას თითონ მაცხოვარი ეცხადებოდა. წმ. ელიზავეტა გარდაიცვალა 1231 წელს.

ჩვენ აქ შევჩერდებით ცოტას და მოვიყვანთ კიდევ მაგალითად ფრანცისკი ასსიზელის სიბრძნეს პრაქტიკულ ცხოვრებაში. თუმცა ეს ადამიანი იმ აზრის იყო, რომ ვისაც ბერ-მონოზნობა სურს, უმჯობესია აიღონ მაგალითად წმ. კლარი, რომელმაც ადრიანად დასტოვა მსოფლიო, გაშორდა მას, და სენაკს შეეფარაო, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც დაარსა „ფრანცისკის ორდენი", რომლის მიზანი ის არის, რომ აღმოუჩინოს სალსარი განურჩევლად სქესისა ერისგანთ, რომლებიც რამდენიმედ დაემორჩილებიან მის მიერ შემოღებულს წესრიგს, რომ ამავე დროს არ გასწყვიტონ ძაფი ოჯახური, მსოფლიური ცხოვრებისა.

ვინაიდგან ელისაბედი ცხოვრების დადება მაგალითად მოუხერხებელია თანამედროვე ცხოვრების პირობებში, და ის წარსულ საუკუნეებს ეკუთვნის, ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ მაგალითს თანამედროვე საუკუნიდან.

1830 წელს ერთი ახალგაზდა, 20 წლის ქალი, ცოლად გაჰყვა ინდოეთში მდგმურ ჯარის ოფიცერს —ჩიუგოლმს. ის ყოველგან და მარად ჟამ თან იახლა ქმარს, ამხნევებდა ზნეობრივად და უმსუბუქებდა ცხოვრების ყოველ გვარს სიმძაფრეს. ინდოეთში ყოფნის დროს დაარსა ბრიტანელ ჯარის კაცთა ობლებთათვის სკოლა, ხოლო როდესაც ჩიუგოლმი ავადმყოფობისა გამო იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ინდოეთი, მაშინ ის თან გაჰყვა ქმარს სიდნეაში, სადაც უსამზღვრო კაცთმოყვარეობისა გამო გამოესარჩლა გადმოხვეწილთ და ათასობით იფარვიდა საბრალო ქალი-შვილებს უბედურებისა და ზნეობრივად დაცემისაგან.

ოჯახურ საქმეებს ერთხელაც არ შეუფერხებია მისი ამ გვარი საზოგადო მოღვაწეობა, ასე რომ სამართლიანად დაიმსახურა ის გრძნობით სავსე სიტყვები, რომლებიც უძღვნა ვალტერ ლადორმა, და რომლებშიაც გამოხატულია მისი თავ-დადებული, უსამზღვრო სიყვარულით სავსე ცხოვრება:

„იშვიათი მაგალითი შეედრება შენს მოყვასთათვის თავ განწირულ ცხოვრებას. შენში ვერ ვპოვებთ ვერც ერთ ბრალსა და ავ საქმეს. შენ მიერ გაწმედილი ავსტრალიის ნაპირები ამიერიდან აღარ იქმნებიან ნეხვის საყრელ ადგილად, ე. ი. გავარდნილ ავკაცების თავშესაფარადო".

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. ვის უფრო ეკუთვნის ზრუნვა და თავიანობა ეკკლესიის ქონებაზე—მღვდელს, თუ ეკკლესიის მნათეს; და რომელი მათგანი უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს «სტოროჟებს»?

მიგება. ეკკლესიის მნათე, თანახმად პირველი სტატიისა მნათეთა ინსტრუქციისა, ირჩევა, ერთად კრებულთა თანა, მოსაპოებლად, შესანახად, ან დასახარჯავად ეკკლესიის ფულთა და ყოველ ეკკლესიის ქონების დასაცავად. ამ სახით ზემოხსენებული მოვალეობა ერთნაირად ეკუთვნის როგორც მღვდელს, ისე მნათეს. მაშასადამე ორივენი ვალდებულნი არიან ყურს უგდებდენ «სტოროჟების» ყოფაქცევას და მათგან თავიანთ მოვალეობის აღსრულებას.

კითხვა. საჭიროა თუ არა ოთხ აბაზიანი გერბის მარკა იმისთანა ცნობაზე, გვირგვინის კურთხევის შესახებ, რომელშიაც სასიძოს ან სასძლოს წლოვანება არ არის ნაჩვენები?

მიგება. როცა წლოვანება არ არის ნაჩვენები გვირგვინის კურთხევის მოწმობაში და მარტო ნაჩვენებია, რომ სასიძო ან სასძლო მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისანი არიან, რომ სამგზითი გამოცხადების შემდეგ დაბრკოლება არავისაგან არ გამოცხადებულა, რომ იგინი აღსარებას ამბობენ და ეზიარებიან, და რომ მათ გვირგვინის კურთხევისათვის დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვსთ, ამისთანა ცნობების დამოწმებისათვის გერბის მარკა, თანახმად უწმიდესი სინოდის განჩინებისა 30 სეკტემბრიდან 1876 წლისა, № 1413, არ ითხოვება მთხოვნელისაგან.

კითხვა. შეიძლება თუ არა მღვდელს ახლად დანიშნული ჯამაგირიდან მესამედი ჯამაგირი გამოერიცხოს იმისთვის, რომ სამრევლო სკოლა ვერ გახსნა თავის მრევლში?

მიგება. ამნაირი კანონი ჯერეთ არ გამოცხადებულა და, ჩვენის აზრით, არც გამოცხადდება როდისმე. იქ, სადაც მათრახის ცემით მრევლს ახდევინებენ სახალხო სკოლის შესანახავად ფულებს, რასაკვირველია, სამრევლო სკოლის გახსნას აღარ დაეძებენ და არც ბავშვებს შეიყვანენ, რადგან იქ ცოტა ფულს მაინც გამოართმევენ, სახალხო სკოლაში კი უფულოდ იღებენ, რადგან მთელს საზოგადოებას ახდევინებენ სკოლის შესანახ ფულს და მასწავლებლის ჯამაგირს.

რედაქციის პასუხი.

სიღ—ნს. დამსწრეს. როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, მღვდელი მართალი ყოფილა, თუ გვირგვინის მაკურთხეველ დიაკვანს ჯეროვანი საბუთი არ ქონდა ქორწინების შესრულებისათვის.

მღ. იას. თე—მეს. თქვენგან გამოგზავნილი შეწირულების წერილი არსად არ ჩანს.

მღ. ნ. ინწკირველს. ოდიკი საეკკლესიო ნივთების საწყობში არ იყიდება, მაგრამ, თუ ვიშოვეთ მღვდელ-მთავართან, გამოგიგზავნით.

მ რ ა ვ ა ლ თ ა. მღვდელთავის საჭირო კალენდარული ცნობები ჩვენგან დაურიგდება ჩვენი გამოცემის ყველა ხელის მომწერთა. ამ წლიდან ჩვენ გვინდა დავიწყოთ ის წესი, რაც სუფევს ყოველ ადგილას სხვაგან გაზეთების და ჟურნალების გამოსაწერად. ვისგანაც ჟურნალის ხელმოსაწერი ფული არ იქნება მიღებული, მას გამოცემა არ გაეგზავნება. და ვისაც ერთად წარმოდგენა არ შეუძლია, მათ შეუძლიათ ნახევარი წლის წარმოადგინონ წინ დ წინ იანვარში დ დანარჩენი ივნისში.

კონსტანტინეპოლს, იას'ე რ—გელს. დიდის სიამოვნებით მივიღებთ და დავბეჭდავთ პატარა სტატიებს ზნეობრივი შინაარსისას. გამოგზავნილი სტატია უკვე დაიბეჭდა. ჟურნალი თქვენ ყოველთვის მოგერთმევათ უფასოთ, როგორც ჩვენს კორრესპონდენტს და თანამშრომელს.

მღ. ალ. ჯ—მეს. თქვენ იწერებით, რომ 1899 წლის „მწყემსის“ ფული უკვე წარმოვადგინეო, მაგრამ ჩვენ არა თუ ამ წლის წარსული წლის ფასიც არ მიგვიღია და თუ მივიღებთ დიდის კმაყოფილებით გამოგიგზავნით გაზეთს.

მღ. გ. ალ—ევს. კურთხევანი აღარ იმექონება გასასყიდლად. არის დიდი კურთხევანი, რომელიც ღირს რვა მანეთი და თუ გნებავთ, შემოთვალეთ და მოგართმევთ ფასდადებით.

განცხადება.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორკვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

დ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

12 თვით	«მ წ ყ ე მ ს ი» 3 მ.	6 თვით	«მ წ ყ ე მ ს ი» 2 მ.
—	„ რუსული „ 3 მ.	—	„ რუსული „ 2 »
—	„ ორივე გამოცემა 5 »	—	„ ორივე გამოცემა 3 »

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **კვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც. თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **საჩხერეში**—ყარამან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; **ახალსენაკში**—ბლაღოჩინ მ-ა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მ ა ნ ე თ ა დ.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **კვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარემ მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად **ხახულის ღვთისმშობლის** ფოტოგრაფიული **ნახატი** და ჩვენი მოღვაწის ბატონის

აკაკის სურათი,

ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი.

ზემოაღნიშნულ საჩუქრებს ხელის მომწერნი მიიღებენ ფულის შემოტანისთანავე,

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 января 1899 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елiевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.